თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №გ-131. 131242137

2024 წლის 31 ივლისი

დ. თიანეთი

თიანეთის მუნიციპალიტეტის, დაბა სიონის ადმინისტრაციული ერთეულის სოფ ბოჭორმაში მდებარე 1-ლი ქუჩის, შესაბამისი შესახვევების და ჩიხის სახელის შეცვლის და აფხაზეთის ომში დაკარგული გმირის გიორგი ბესთავაშვილის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის, 24 მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტის, “მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისი №239 დადგენილების თანახმად თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

1. თიანეთის მუნიციპალიტეტის, **დაბა სიონის ადმინისტრაციული ერთეულის სოფ ბოჭორმაში მდებარე 1-ლი ქუჩას, შესაბამისი შესახვევებს და ჩიხს** შეეცვალოს სახელწოდება და დაერქვას საქართველოს **აფხაზეთის ომში დაკარგული გმირის გიორგი ბესთავაშვილის** სახელი თანდართული რუკის მიხედვით.

2. თიანეთის მუნიციპალიტეტის მერიამ ოთხი თვის ვადაში უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების გატარება.

3. განკარგულება გადაეგზავნოს თიანეთის მუნიციპალიტეტის მერიას, სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, შინაგან საქმეთა სამინისტროს,საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში სასამართლოში შემდეგ მისამართზე: დ.თიანეთი, რუსთაველის ქ. №47.

5. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარის

მოვალეობის შემსრულებელი **ლაშა სულხანიშვილი**